„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი • №9-10 (9527-9528) • 1-31 მაისი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

საიუბილეო თარიღი

15 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს ქალბატონს, ვენერა სალაყაია-ბერაიას, 100 წელი შეუსრულდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, საუკუნის ქალბატონს ესტუმრა, საიუბილეო თარიღი მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

სამუშაოებს გაეცნო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, ქალაქში, შოთა რუსთაველის მეორე ჩიხში და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე მოსამზადებელ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

პარალელურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროცესი შონიას, ვახტანგ მეფის, წერეთლის ქუჩებში, ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში; ასევე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში - ახალი ხიდიდან, კვაუთის მიმართულებით და უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში - თხილის საამქროსთან მისასვლელ გზებზე ეწყობა ცემენტო-ბეტონის საფარი; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საარჩაიოს უბანსა და სოფელ კოტიანეთში, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულის სალიპარტიოს უბანში,

ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლებაღათურეს უბანსა და ტეხურის ხიდთან არსებულ გზებზე მიმდინარეობს მოსამზადებელი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

,,აღნიშნულ გზებზე არსებული მდგომარეობა წლების განმავლობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ინფრასტრუქტურული პროექტები კიდევ უფრო მასშტაბურად გაგრძელდება. არსებული მდგომარეობის მოწესრიგებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქსა და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ვგეგმავთ", – განაცხადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა.

საგზაო-ინფრასტრუქტურული სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი.

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სალიპარტიოს უბანში, აქტიურად მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 278 822 ლარს შეადგენს და ივნისის თვეში დასრულდება. საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება მიმდინარეობს ასევე ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სხივის ქუჩაზე, ღირებულებით - 712 205 ლარი.

პროექტი მაისის ბოლოსთვის დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ეს გზები ამორტიზებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა.

აღნიშნულ ლოკაციებზე სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ამ ეტაპზე აქტიურად ხორციელდება 16 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი.

პროფესიული დღესასწაული მიულოცა

ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, საჯარო ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკარებს შეხვდა, მათ პროფესიული დღესასწაული მიულოცა და მადლობის სიგელები გადასცა. ,,ძვირფასო ბიბლიოთეკარებო, გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს.

პატივისცემას იმსახურებს ყველა ადამიანი, რომელმაც ეს პროფესია აირჩია.

მადლობა თითოეულ თქვენგანს გაწეული დაუღალავი შრომისთვის" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

„დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“

მერიის სხდომათა დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, კომპანია ,,Transford • ტრანსფორდის" (პეის ჯგუფი) დირექტორი, ვასილ მაზიაშვილი, ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის უსაფრთხოების დირექტორი, დავით სულხანიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, USAID/Georgia-ს პროგრამის – „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" ფარგლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და სენაკელ ახალგაზრდებს შეხვდნენ.

შპს „ტრანსფორდი", ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრთან ერთად ახორციელებს მოკლევადიანი სასწავლო კურსის პილოტირებას - მძღოლ-ოპერატორებისა და დოკერებისთვის, დასაქმების პერსპექტივით. სასწავლო კურსის ღირებულება სრულად ფინანსდება შპს ,,ტრანსფორდის" მიერ და ხანგრძლივობა 6 კვირას მოიცავს.

დასაქმების მსურველებმა რეგისტრაცია 16 მაისამდე გაიარეს.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ისინი შესაბამის სერთიფიკატს მიიღებენ და დოკერის ან მძღოლ-ოპერატორის პოზიციებზე დასაქმდებიან.

დასაქმების მსურველები, დეტალური ინფორმაციისთვის უნდა დაუკავშირდნენ: 577 07 65 67.

სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავი



ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ყვავილებით შეამკო მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი და ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა - 500 ლარი მიიღებეს.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

შეხვედრა მერიის სამსახურებისა და აიპების ხელმძღვანელებთან

სამუშაო დღე სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერიის სამსახურებისა და მუნიციპალური აიპების ხელმძღვანელებთან შეხვედრით დაიწყო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, დეტალური ინფორმაცია მიიღო საანგარიშო კვირის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სექტორებში დაგეგმილი პროექტების და ზედამხედველობითი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პროექტების შესახებ.

,,პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული თითოეული პროგრამა ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებსა და მათ კეთილდღეობაზეა გათვლილი.

პრემიერის ინიცირებული პროგრამის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით აშენდება 90 და რეაბილიტირდება 412 საბავშვო ბაღი. ამ მიმართულებით, სენაკის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირდება მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლა, აშენდება 2 საჯარო სკოლა - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის და ქალაქის მესამე საჯარო სკოლები, ასევე, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის სპორტული კომპლექსი.

სკოლამდელი აღზრდის სექტორში - რეაბილიტირდება 6 საბავშვო ბაღი, აშენდება ძველი სენაკის საბავშვო ბაღი.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის - ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. პარალელურად, მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე არსებული ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტში, ამ ეტაპზე, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მრავალბინიანი კორპუსების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციის პროექტები. კერძოდ, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, რეაბილიტირდება 3 მრავალბინიანი კორპუსი, ასევე, ქალაქში, სხვადასხვა ლოკაციაზე, მიმდინარეობს კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის პროცესი. პარალელურად, საგზაო ინფრასტუქტურული სამუშაოები გრძელდება აგარაკის, თაყაიშვილის, მთის კალთისა და ფურცელაძის ქუჩებზე.

არსენას ქუჩაზე დასრულების ეტაპზეა მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

უახლოეს დღეებში ვგეგმავთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის მორიგი ეტაპის დაწყებას, რომლის ფარგლებში, ქალაქად რეაბილიტირდება შონიას, ვახტანგ მეფის, წერეთლის ქუჩები, რუსთაველის მეორე ჩიხი, ასევე, კეთილმოეწყობა სამხედრო დასახლებაში არსებული კორპუსების ეზოები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება შიდა გზებს.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში - 3 ლოკაციაზე - სოფელ კოტიანეთში, საარჩაიოს უბანსა და სხივის ქუჩაზე; მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სალიპარტიოს უბანში; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში - 2 ლოკაციაზე, ასევე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

დევნილთა დასახლებაში

სენაკის მუნიციპალიტეტის ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში, მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრთან, გიგა წურწუმიასთან და პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად გაეცნო. დევნილთა დასახლებაში არსებული შიდა გზები ამორტიზებული იყო და მოსახლეობას გადაადგილების დროს პრობლემას უქმნიდა.

მნიშვნელოვანია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობათან ერთად, წესრიგდება სანიაღვრე სისტემა; საბავშვო ბაღ ,,ოცნებას" მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე იგეგმება მოედნის მოწყობა.

პროექტი რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 935 194 ლარს შეადგენს.

გამარჯვება მიულოცა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ვეტერან სპორტსმენს, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ძიუდოს და სამბოს დამსახურებულ მწვრთნელ - მასწავლებელს, ელგუჯა გვასალიას, თბილისში, 4 მაისს, ძიუდოში, ვეტერანთა შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცა.

ვეტერანი სპორტსმენი 28 მაისს, ათენში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას. ელგუჯა გვასალიას ძიუდოში არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული, არის: საქართველოს ორგზის ვიცე ჩემპიონი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.

99 წლიანი ისტორია

1 მაისი ჩვენი ქალაქის თითქმის საუკუნოვანი მემატიანის - გაზეთ ,,კოლხეთის'' დაარსების დღეა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ,,კოლხეთელებს" შეხვდა, გაზეთის დაარსების 99-ე წლისთავი მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

,,გაზეთი ,,კოლხეთი'' ისტორიითა და კულტურული ტრადიციებით მდიდარი კუთხის მაჯისცემას ათწლეულების მანძილზე ასახავდა. ამ საქმეს არაერთი დამსახურებული ჟურნალისტი და გამორჩეული პიროვნება ემსახურებოდა. ,,კოლხეთის" რედაქციასთან მრავალი სახელოვანი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ხელოვნების წარმომადგენელი თანამშრომლობდა. მის წიაღში აიდგა ფეხი სენაკის ბევრმა ღირსეულმა შვილმა.

მშობლიური გაზეთის ასეთი სიცოცხლისუნარიანობა დასაფასებელია.

გილოცავთ, ,,კოლხეთელებო". პროფესიულ საქმიანობაში წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ.

მე პირადად, ისევე როგორც ჩვენი გუნდი, ყოველთვის ვიქნებით თქვენს გვერდით და შევეცდებით თქვენი საქმიანობის ღირსეულად დაფასებას" - აღნიშნა შეხვედრისას მუნიციპალიტეტის მერმა.

ვიზიტის ფარგლებში

პროექტის - ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, შვედეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ერიკ ილესმა, შვედეთის საელჩოს პროგრამების ხელმძღვანელმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა, UNDP-ის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნინო ანთაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამცავი ნაგებობისა და მდინარე ცივის კალაპოტის 2,180 მეტრიან მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

ვიზიტის ფარლგებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე, პრეზენტატორებმა - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადგილობრივმა კოორდინატორმა, ანი ბუკიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, დალი ქაჩიბაიამ, გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" წარმომადგენელმა, თამარ მალანიამ, პროექტის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებზე, ამ მიმართულებით, სენაკის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ვიზიტი წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში, კლიმატის ცვლილების და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ გამართული ტრენინგით დასრულდა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

ეროვნული სამოსის დღე სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, სენაკის საპატიო მოქალაქის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია ,,კუჩხიბედინერის" ორგანიზებით, ეროვნული სამოსის დღე სენაკში, ,,კუჩხიბედინერელთა" კოსტუმირებული მსვლელობით აღინიშნა.

მსვლელობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, საკრებულოს წევრები - საბა ოდიშარია, ირაკლი კალანდარიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი შეუერთდნენ.

სამუზეუმო სივრცეებში

18 მაისს ჟიული შარტავას და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღეებისადმი მიძღვნილი გამოფენა და თემატური ღონისძიება გაიმართა.

სამუზეუმო სივრცეები მსოფლიოს მუზეუმების ფოტო გამოფენას დაეთმო. ასევე გამოიფინა ეროვნული სამოსი.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის, შესაბამისი სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

გილოცავთ მუზეუმების საერთაშორისო დღეს.

მინდა მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო, თქვენს მიერ სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. ჩვენი ისტორიული და კულტურულ-ეთნოგრაფიული საუნჯის რუდუნებით მოვლა- პატრონობა და პოპულარიზაცია, აქ თავმოყრილი უტყვი ისტორიის ახალგაზრდობისა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა-ზიარება, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

გულითად მადლობას გიხდით" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და მუზეუმების მეცნიერ-თანამშრომლებს მადლობის სიგელები გადასცა.

მუზეუმების დღე ციხე-გოჯში

მუზეუმების საერთაშორისო დღე, რომელიც, ტრადიციულად, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტორულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, ციხე-გოჯის ისტორიულ ტერიტორიაზე იმართება, მრავალფეროვანი ღონისძიებებით დასრულდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებულ ახალგაზრდულ თეატრ ,,ფიროსმანის'' მსახიობების მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნა ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით დადგმული სპექტაკლ-კომპოზიცია ,,განდეგილი''. რეჟისორი - ვეფხვია გორგოძე.

მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მოეწყო „ფოტოზონები", პოეზიის საღამო -საგანგებოდ დანთებულ კოცონთან, გაიმართა კონცერტი - მომღერალ ბოკა კვეკვესკირისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კოლხის" მონაწილეობით.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

საღამო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის და ნოქალაქევის არქიტექტორულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღე

„სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“

მუზეუმი ერთ-ერთი მტკიცე ბოძია, რომელზედაც დგას ჩვენი ქვეყნის სულიერება. 1977 წლიდან ყოველწლიურად 18 მაისს მთელ მსოფლიოში აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე, რომელსაც წლებია მოკრძალებით ეხმიანება სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედი მუზეუმები. მიმდინარე

წელს აღნიშნული თარიღის მთავარი თემა იყო „მუზეუმების ძალა“.

18 მაისს დილიდან ხალხმრავლობა იყო სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხართმცოდნეობის მუზეუმებში.

საგამოფენო სივრცეში მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიუძღვნა ჟიული შარტავას მუზეუმმა ფოტოგამოფენა, ,,სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“, სადაც შეკრებილებმა იხილეს მოდერნისტულ სტილში აგებული მსოფლიოში ცნობილი მუზეუმების ფოტოები, ასევე დიდი მხატვრების (რუბენსი, კარავაჯო, ვან დეიკი, დიურერი, სეზანი, რენუარი და სხვა) ნამუშევართა რეპროდუქციები, რომელთა ორიგინალები ინახება დრეზდენის სურათების გალერეასა და ერმიტაჟში.

გამოფენას უძღვებოდა მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ნანა ფირცხალავა. მან დამსწრე საზოგადოებასა და კოლეგებს მიულოცა მუზეუმების დღე. ისაუბრა მუზეუმების მნიშვნელობაზე და ვრცლად მიმოიხილა გამოფენაზე წარმოდგენილი მუზეუმების ფოტოები, რომლებიც არა მხოლოდ თანამედროვე ხელოვნების კოლექციით გამოირჩევიან, არამედ მოდერნისტული არქიტექტურითაც.

გამოფენის ირგვლივ თავისი აზრი გამოთქვა არქიტექტორმა, მხატვარ-დიზაინერმა – ზაზა ჯანჯღავამ. მან ისაუბრა ზოგადად ხელოვნების, კერძოდ მხატვრობის მნიშვნელობაზე ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვა წარმოთქვა გენო ადამიას სახელობის სენაკის პირველი საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ, აფხაზეთიდან დევნილმა ნათია ტუკვაძემ.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა მუზეუმის სპეციალისტმა მარინე აბრამიამ. მან მიმოიხილა რაიონის სამუზეუმო ცხოვრების წარსული, გაიხსენა ადრე დასაქმებული მუშაკები, მიულოცა თანამშრომლებს პროფესიული დღე, თბილი სიტყვებით მიმართა მუზეუმში შეკრებილ სტუმრებს, გულშემატკივართა დიდ არმიას.

ჩატარებული ღონისძიების ლამაზი ჩანაფიქრისა და მისი განხორციელებისთვის - აღნიშნა ნანა ფირცხალავას დამსახურება. მიულოცა ზაზა ჯანჯღავას წარმატებები, რომელიც ბათუმში ჩატარებულ მხატვართა შეკრებაზე მის მიერ წარდგენილ ნამუშევრებს ხვდა წილად.

პროფესიული დღესასწაულთან დკავშირებით მუზეუმების თანამშრომელთა მისამართით კეთილი განწყობა გამოხატა შარტავების ოჯახმა.... „მადლობა და დიდი სიყვარული მუზეუმების მთელ კოლექტივს. გისურვებთ დიდხანს შემართებით სვლას პროფესიულ გზაზე“...

შემდეგ ღონისძიების მონაწილეებმა გადაინაცვლეს ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც მოეწყო თემატური გამოფენა -- ეროვნული სამოსი, ეროვნული საკრავები და ფეხსაცმელები. გამოფენამ მოწვეული სტუმრების მოწონება დაიმსახურა. ასევე წარმოდგენილი იყო აკადემიკოსების, თეოფანე დავითაიასა და არნოლდ ჩიქობავას ნაშრომები და ფოტოები.

ღონისძიება შეასავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის სპეციალისტმა დამირ კუჭავამ. ეროვნული სამოსისა და საკრავების მნიშვნელობაზე ისაუბრა მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლალი გულუამ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები მადლობას უხდიან ქალბატონ ეკატერინე გაბრავას გამოფენის მოწყობაში შეტანილი წვლილისა და აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ღონისძიების დასასრულს მუზეუმში შეკრებილთ სიტყვით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ვახტანგ გადელიამ. მან პროფესიული დღე მიულოცა მუზეუმის თანამშრომლებსა და მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის, გადასცა მათ მადლობის სიგელები და მომავალი წარმატებები უსურვა.

კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბადრი ქუთელიამ გაზაფხულის ყვავილების თაიგულები უსაჩუქრა მუზეუმების ქალთა პერსონალს, ხოლო სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა ინეზა ღვინჯილიამ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები გადასცა მისი ორგანიზაციის წევრებს. სენაკის ნაყინი "თეთრი დათვი" -- საკუთარი პროდუქციით გაუმასპინძლდა ღონისძიების მონაწილეებს.

დღის დასასრულს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და მუზეუმის თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს ქალაქის ცენტრში ცნობილი მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას ავტორობით შექმნილი საქართველოს ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას ბიუსტი, რომლის საზეიმო გახსნაც მოეწყო 25 წლის წინ 1997 წლის 18 მაისს.

ჩატარებული ღონისძიებების შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, პროფესიული დღის მოკრძალებული აღნიშვნა ლამაზ ფურცლად ჩაიწერა მუნიციპალიტეტის სამუზეუმო ცხოვრების მატიანეში.

მარიკა მიქაბერიძე

საიუბილეო თარიღი

ჩვენ ერთად ვიღწვით ხვალინდელი დღისათვის

განსაკუთრებული ადამიანური თვისებებით გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენი დიდი ოჯახის ,,არქეოპოლისის" დამფუძნებელსა და მის უბადლო ხელმძღვანელს, ერთგულ მეციხოვნეს, აღიარებულ ქველმოქმედს, მეცნიერს და მრავალი საპატიო რეგალიების მატარებელ ჭეშმარიტ მამულიშვილს-ბატონ დემურ გადელიას ვულოცავთ დაბადების დღეს!

ბატონო დემურ,

უცნაურად გადამდებია თქვენი ახალგაზრდული შემართების, კეთილი საქმეების კეთებისა და ქვეყნის აღმშენებლობისადმი სიყვარული.

თქვენ ხართ ის ძალა, რომელიც აერთიანებს ,,არქეოპოლისში" დასაქმებულ 300-ზე მეტ ადამიანს. ის ბურჯი, რომელიც გზად და ხიდად ეგულება თითოეულ ჩვენთაგანს და იმედი, რაც გვაძლევს უკეთესი მომავლის რწმენას.

სამაგალითოა თქვენი ფენომენალური შესაძლებლობები, ორგანიზატორული ნიჭი, ნოვატორული სულისკვეთება და ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური უნარი. რისთვისაც ნამდვილად დაიმსახურეთ საზოგადოების, თითოეული ჩვენთაგანის ერთსულოვანი პატივისცემა და ღირსეულად დაიმკვიდრეთ საზოგადო მოღვაწის, ერისკაცის საპატიო სახელი. გვეამაყება, რომ ჩვენ, თქვენს სახელოვან ,,არქეოპოლისის" კოლექტივს წარმოვადგენთ და თქვენთან ერთად ვიღწვით მისი ხვალინდელი დღისათვის.

გმადლობთ ყველაფრისთვის, თანაგრძნობისათვის, თანადგომისა და ერთგულებისათვის.

ძალიან გვიყვარხართ, გვეიმედებით, გვეამაყება თქვენთან თანამშრომლობა და თქვენს გვერდით ყოფნა.

საქმე, რასაც თქვენ ასე რუდუნებით უძღვებით, საშვილიშვილოა, რადგან ის ყველას სჭირდება, რადგან ამ გზებით მომავლის საქართველოსაკენ, მისი გამთლიანებისა და გაძლიერებისაკენ მივაბიჯებთ.

დღეგრძელი და მზეგრძელი იყავით ბატონო დემურ, თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად!

,,არქეოპოლისმა" თქვენთან ერთად კიდევ მრავალი წელი უნდა იხმაუროს და აკეთოს კეთილი საქმეები ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ულრმესი სიყვარულითა და პატივისცემით თქვენი თანამშრომლები

ბატონო დემურ!

მთელი სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე სურვილის ასრულებას. თქვენი საყვარელი სამშობლოს გამთლიანებას და გაბრწყინებას.

მადლობა უფალს, რომ თქვენი სახით მოგვევლინა პატრიოტული შემართების, უკეთილშობილესი, ღვთაებრივი და უღალატო ადამიანი. ჭირში თანამდგომი და ლხინში თანამოზიარე.

თქვენი მონდომებითა და ძალისხმევით ბევრისთვის ცხოვრება იოლდება, ლამაზდება და იმედიანი ხდება. ამის ნათელი მაგალითია თქვენი რუდუნებით შექმნილი კომპანია „არქეოპოლისთან" ერთად მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა, საყოველთაო და ფართო მასშტაბიანი საქველმოქმედო–ჰუმანიტარული საქმიანობა, საეკლესიო სამონასტრო ინფრასტრუქტურის განვითარება.

რაიონის ორგზის მაჟორიტარ დეპუტატად ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში, ეფექტური და სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებების გატარება. მათ შორის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

მოსახლეობისთვის გაწეული უზარმაზარი დახმარების მიუხედავად, რასაც ტრადიციულად დღესაც აგრძელებთ თქვენი მებრძოლი ხასიათიდან გამომდინარე არასოდეს კმაყოფილდებით მიღწეულით.

თქვენი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი, ხალხის რჩეული და მსახური.

ვამაყობ და მიხარია, რომ გამორჩეული ნიჭისა და ადამიანური თვისებების გამო დამსახურებულად ატარებთ ყველა მნიშვნელოვან რეგალიას. საპრეზიდენტო და სამთავრობო ჯილდოებს, და მრავალგზის საპატიო მეგზევის და სხვა წოდებებს.

ამაყი და მადლიერი ვარ რომ წლების განმავლობაში ვიყავი თქვენს გვერდით და ვიღებდი მდიდარ გამოცდილებას

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ლამაზ დღეს, გისურვებთ სულისა და ჯანის სიმრთელეს, ოჯახის წევრთა, შვილიშვილთა და ახლობელთა კარგად ყოფნას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გფარავდეთ უფალი.

ულრმესი პატივისცემით
იზარდი წოწონავა

წლები მეტ ხიბლს მატებს

მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ლიდერობის გამორჩეული უნარი, ფართო განათლება, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ქველმოქმედების გასაოცარი ნიჭი, ადამიანების თანადგომა –არის ბატონ დემურ გადელიას პიროვნების ძირითადი მახასიათებელი.

ის მუდამ თავისი ხალხის გვერდითაა, როგორც შენების, ასევე ძნელბედობის ჟამს. წლები მეტ ხიბლს მატებს მის პიროვნულ ღირსებას და კაცურკაცობას.

მოკრძალებითა და პატივისცემით ვულოცავთ ბატონ დემურს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ახალგაზრდულ შემართებას, ხალისიან განწყობილებას.

ბატონო დემურ, მრავალ დაბადების დღეს შვილებთან, შვილიშვილებთან, თქვენს დიდ სამეგობროსთან და ახლობელ ადამიანებთან ერთად.

უფალი ფარავდეს თქვენს აწ გასასვლელ გზას!

,,კოლხეთელები"

გილოცავთ!

ნებისმიერი პიროვნებისათვის წარმატება, აკადემიკოსის ხარისხი ცხოვრების გზაზე აღმატებულ საფეხურზე ასვლაა, მისი თანაქალაქელებისათვის, მუნიციპალიტეტისთვის კი სახელია, ღირსებაა, მოვლენაა. სწორედ ამ დონისა და მნიშვნელობის ფაქტი უნდა გახაროთ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ,,სენაკის საპატიო მოქალაქე" **ვაჟა დანელია** აკადემიის წევრად-აკადემიკოსად აირჩია.

,,კოლხეთელები" სულით და გულით ვულოცავთ ბატონ ვაჟას მისი დაუღალავი შრომისა და ღვაწლის შესატყვის, დამსახურებულ ხარისხს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ცხოვრების სარბიელზე კიდევ ბევრი სიმაღლის დაპყრობას.

,,კოლხეთელები"

მე და ევროპა

7 მაისს, ქალაქ თბილისში კინოთეატრ „ამირანში" რეს-პუბლიკური და რეგიონალური მედიასაშუალებებისათვის მოეწყო სპეციალურად ევროპის დღისათვის შექმნილი ქართული დოკუმენტური ფილმის ,,მე და ევროპა" - ჩვენება.

ფილმში აღწერილია საქართველოს 4 რეგიონის: კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის ოთხი სხვადასხვა ისტორია. ფილმის დაწყებამდე საზოგადოებას მიესალმა ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩი საქართველოში – ბატონი კარლ ჰარცელი. მან აღნიშნა: „ფილმი გვიჩვენებს, რომ ევროპული ღირებულებები ღრმად არის ფესვგადგმული საქართველოს კუთხეების ისტორიასა და კულტურაში, რომლებიც საბოლოოდ საქართველოს ევროპასთან აკავშირებს.''

პირველ ფილმში წარმოჩენილია კახეთში, სოფელ უდაბნოში განვითარებული ისტორია. აქ მცხოვრები სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენლების მშვიდობიანი თანაარსებობა.

თავისუფლებისაკენ სწრაფვაზე გვიყვება რაჭიდან, მეორე ფილმის მთავარი გმირი, რომელიც საბჭოთა დროიდან მოყოლებული აგროვებდა რადიოებს. სხვადასხვა სიგნალის მეშვეობით საქართველოს პატარა სოფლიდან ამყარებდა კავშირს მთელი მსოფლიოს ქვეყნებთან.

მესამე ისტორია გურიის რეგიონში, ქალაქ ლანჩხუთში არსებულ ქალთა საფეხბურთო კლუბს უკავშირდება. აღწერილია ეტაპები, თუ როგორ შეძლეს ახალგაზრდებმა მიეღწიათ წარმატებისათვის. განვითარებულია აზრი, რომ ქალები ყველა პროფესიაში ძლიერები არიან.

მეოთხე ფილმში პორტუგალიიდან საქართველოში გადმოსულმა ელეონორამ ქართული ენა ისწავლა, ნაციონალური ცეკვები და აქ შეძენილ მეგობრებთან ერთად სამოქალაქო აქტივისტი გახდა გარემოს დაცვის კუთხით.

ფილმის მთავარი გზავნილია, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ევროპულ ღირებულებებს იზიარებენ. ფუნდამენტური ღირებულებები დემოკრატია, თანასწორობა, თავისუფლების მრავალფეროვნება ნამდვილად აერთიანებს ევროკავშირსა და საქართველოს.

ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მედიის წარმომადგენლების კითხვებს უპასუხეს კარლ ჰარცელმა, ფილმის რეჟისორმა გიორგი ქველიძემ, პროდიუსერმა თაკო ქველიძემ.

ყველამ ერთხმად დააფიქსირა აზრი, რომ ფილმის ჩვენება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რადგან ის დაემთხვა საქართველოს განაცხადს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

მ. ბაღათურია

სიახლეები თეატრალურ ცხოვრებაში

სენაკის ინტელიგენცია თეატრისადმი სიყვარულით და ერთგულებით გამოირჩევა. როგორც ყველა სხვა სიახლეს, სენაკელები სიხარულით შეხვდნენ 6 წლიანი პაუზის შემდეგ აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ამოქმედებას და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ახალგაზრდა პროფესიონალის ვახტანგ ნიკოლავას დანიშვნას.

იგი დაიბადა 1982 წელს ქ. სოხუმში. დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყო თბილისის ალ. გრობოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობი, რეჟისორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი.

2016-2018 წლებში დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა, მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. შესრულებული აქვს მრავალი საინტერესო როლი საქართველოში მოქმედ თეატრების სპექტაკლებში. თავადაც დადგმული აქვს არაერთი სპექტაკლი როგორც საქართველოში, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

თეატრალურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის მიღებული აქვს სერტიფიკატები, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2022 წლის 1 მარტს ვახტანგ ნიკოლავა ოთხი წლის ვადით დაინიშნა სენაკის აკაკი ხორავას სხელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

მონდომებული, კვალიფიციური სამხტვრო ხელმძღვანელი თავდაუზოგავად მუშაობს, რათა ღირსეულად განაგრძოს 140 წლიანი ისტორიის მქონე სენაკის თეატრის ტრადიციები და პარალელურად სიახლეები დაამკვიდროს მუნიციპალიტეტის თეატრალურ ცხოვრებაში..

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ბატონ ვახტანგს, ის თეატრის სამომავლო გეგმებზე საუბრობს. ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ ინტერვიუს გაცნობა.

ბატონო ვახტანგ, უპირველესად გილოცავთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნას, როგორია თქვენი შთაბეჭდილება ჩვენს ქალაქზე, მის იერსახესა და მოსახლეობაზე?

მადლობას გიხდით მოლოცვისა და სენაკის თეატრის ცხოვრებით დაინტერესებისათვის. მინდა გითხრათ, რომ სამეგრელო და სენაკი უცხო არ არის ჩემთვის. ჩემი დიდი ბაბუა სენაკიდან იყო, რომელიც შემდეგ სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად. მართალია, მე სოხუმში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ფესვები მაკავშირებს სენაკთან. მართლაც, რომ საოცარი ქალაქია სენაკი, თავის გეოგრაფიული მდებარეობით, ღირსშესანიშნავი ადგილებით, სიმწვანით, სილამაზით.

გამორჩეული სტუმარ-მასპინძლობა იციან აქ, ადამიანების ღირსეულად პატივის მიგება, სენაკი ჭეშმარიტად ინტელიგენტური ქალაქია. ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, რაც ქალაქის მცხოვრებლებს გამოარჩევს -- ეს არის თეატრალური ხელოვნების სიყვარული.

ორი თვეა ქუჩაში ვხვდები ადამიანებს, ვესაუბრები მათ და ვგრძნობ თანადგომას და დიდ მოკრძალებას თეატრალური ტრადიციებისადმი.

ალბათ არ არის ადვილი სამსახურეობრივი კონტაქტი იმ ადამიანებთან, რომლებსაც ადრე არ იცნობდით, როგორ გაიარეთ „ადაპტაციის“ პროცესი?

სიმართლე გითხრათ, აქ დამხვედრ პერსონალთან ურთიერთობაში არ მიგრძვნია არანაირი „გაუცხოება“. კარგად და თბილად მიმიღეს, როგორც საკუთარ ოჯახში. ყველას აქვს ერთი სურვილი -- თეატრმა დაიწყოს ფუნქციონირება, დაიწყოს სპექტაკლების კეთება და თავისი ადგილი დაიმკვიდროს რეგიონის თეატრალურ რუკაზე.

მოგეხსენებათ, აკაკი ხორავას სახელობის სახლმწიფო დრამატული თეატრი მრავალფეროვანი თეატრალური წარსულის და დიდი ტრადიციების მქონეა. რამდენად აკმაყოფილებს მოქმედი თეატრალური დასი თქვენს მოთხოვნებს და აპირებთ თუ არა მის განახლებას.

თეატრალური დასი უკვე განვაახლეთ. ახალგაზრდა პროფესიონალი არტისტები დენისა კახიძე და სოფი ჩალაშვილი შემოემატნენ თეატრის კოლექტივს. პროფესიონალიზმის გარდა, ესენი არიან საუკეთესო ადამიანური თვისებების მქონე პიროვნებები.

გეთანხმებით, რომ აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატულ თეატრს დიდი ტრადიცია აქვს. აქ დამხვდნენ საუკეთესო და ძლიერი მსახიობები, რომლებსაც თითქმის ექვსწლიანი შესვენების შემდეგ, დიდი სურვილი აქვთ მთელი თავიანთი შესაძლებლობით ჩაერთონ სამუშაო პროცესში. პაუზა სენაკის თეატრალურ ცხოვრებაში გამოწვეული იყო სარეაბილიტაციო სამუშაოებით. საამაყოა, რომ სენაკს აქვს საუცხოო არქიტექტურისა და მხატვრობის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე უნიკალური შენობა თეატრალური ცხოვრების მდიდარი ტრადიციით.

ბატონო ვახტანგ, თქვენ მოკლე დროში შეძელით რამდენიმე სპექტაკლის ახალი რაკურსით დადგმა, რა სირთულეები და წინააღმდეგობები ახლდა მუშაობის პროცეს?

ჩვენ რა თქმა უნდა ვერ შევძლებდით ახალი სპექტაკლის დადგმას, ამიტომ გადავწყვიტეთ სიახლე შეგვეტანა და სხვა რაკურსით წარმოგვედგინა ორი სპექტაკლი „მაცეკვე ტანგო“ და ,,პროლოგი ჩემი წარსულია". მე არ ვიცი მანამადე როგორი იყო ეს სპექტაკლები, მაგრამ განახლებულმა წარმოდგენამ, ვფიქრობ მაყურებელი კმაყოფილი დატოვა. სენაკის თეატრის მსახიობებს და ხელმძღვანელებს კარგად გვესმის, რომ გვაქვს ის პერიოდი, როცა პრაქტიკულად თავიდან უნდა ავამუშაოთ თეატრი. სპექტაკლების განახლებისას არანაირი სირთულე და წინააღმდეგობა არ მქონია, მხოლოდ ტექნიკური ხარვეზები გამოვლინდა მუშაობის პროცესში, რაც ერთობლივი ძალისხმევით ადვილად დავძლიეთ.

როგორია თქვენი დამოკიდებულება რეგიონალური თეატრალური ფესტივალისადმი? 2021 წელს ამ ფესტივალს ჩვენმა თეატრმა უმასპინძლა.

მინდა ავღნიშნო, რომ თეატრალურ ტრადიციების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვს რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს. ჩამოდიან პროფესიონალები, ვხვდებით ერთმანეთს, ხდება აზრების გაცვლა-გამოცვლა, ვსახავთ გეგმებს, რაც მნიშვნელოვანია თეატრალური სეგმენტისთვის. ცხადია ყველა რეგიონალური თეატრებში არის რთული მდგომარეობა, როგორც მაყურებლის ასევე რეპერტუარის მხრივ. ასეთ შეკრებებზე მეტი მაყურებელი მოდის, მეტი დაინტერესება იგრძნობა, მეტ სულიერ საზრდოს ღებულობენ ადამიანები.

გთხოვთ გვესაუბროთ თქვენს სამომავლო გეგმებზე?

ვემზადებით პრემიერისთვს, რადგანაც 2022 წელს აღინიშნება ფრანგი დრამატურგის ჟან ბატისტ მოლიერის 400 წლის იუბილე, შევარჩიეთ კომედია „ძუნწი“. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ სენაკის თეატრის ისტორია დაკავშირებულია მოლიერთან, სწორედ მისი „ძალად ექიმი“ იყო პირველი სპექტაკლი, რომელიც დაიდგა 1881 წელს სენაკის თეატრის სცენაზე.

მოგეხსენებათ, განუზომელია თეატრის როლი მოზარდი თაობის ინტელექტუალურად აღზრდის საქმეში. სასურველია თეატრის სიყვარული 6 წლის ასაკიდან ჩავუნერგოთ ბავშვებს. საბავშვო სპექტაკლები, რომლის ნახვის შესაძლებლობა ამჟამად აქვთ სენაკელ ბავშვებს, გათვლილია 12+ და 15+ ასაკის მოზარდებისათვის. ამ ასაკში მოზარდებს ასე თუ ისე ჩამოყალიბებული აქვთ გემოვნება და ინტერესები.

აქვე მინდა დავაანონსო ერთი სიახლე. გვინდა დაუვიწყარი საახალწლო საღამო ვაჩუქოთ სენაკელ ბავშვებს და დავდგათ „საშობაო ზღაპარი“, რომელიც მართლაც ამაღებულ განწყობილებას შეუქმნის ქალაქს და მოზარდებს.

ცხადია მსახიობის სტიმულის მიმცემი და გამამხნევებელი მაყურებელია, თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უპირველესად ახალგაზრდობა დაინტერესდეს თეატრით?

ახალგაზრდობა თეატრით, რომ დაინტერესდეს ამისთვის საჭიროა ,როგორც უკვე აღვნიშნე, ბავშვებმა ადრეული ასაკიდან იარონ სპექტაკლებზე. თეატრალური გარემო სულ სხვაა, თეატრი სხვა კულტურაა. შედიხარ დიდებულ შენობაში, ათვალიერებ ორიგინალურ მხატვრობას, გესმის ჯერ პირველი ზარი, შემდეგ მეორე, სულგანაბული შესცქერი სცენას, იბმება უხილავი ძაფი მსახიობსა და მაყურებელს შორის.

რეჟისორმაც რეპერტუარი ისე უნდა შეარჩიოს, რომ „მოერგოს“ მაყურებლის გემოვნებას. მინდა გითხართ, რომ სენაკი ნამდვილად არ განიცდის „გემოვნებიანი მაყურებლის“ დეფიციტს. მომწონს სენაკის მოსახლეობის თეტრალური კულტურა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მაყურებელი რომ თეატრში მოვიდეს, ამისთვის საჭიროა ერთგვარი პროპაგანდა, რაშიც მედიასაშუალებებიც უნდა დაგვეხმაროს. კიდევ ვიმეორებ, უპირველესად ადრეული ასაკიდან უნდა დავაწყებინოთ ბავშვებს თეატრში სიარული. შევხვდი ადამიანებს და შევიტყვე, რომ სენაკში არ არის სხვა ალტერნატიული დაწესებულება – გასართობი ცენტრი, სადაც ბავშვებს შეეძლებათ დაისვენონ და სულიერი საზრდო მიიღონ.

საერთოდ თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის პრობლემა ვრცელი საკითხია, ამჯერად შემოვიფარგლები მოწოდებით საზოგადოებისადმი: მოდით სპექტაკლებზე, მოიყვანეთ თქვენი ოჯახის წევრები, ახლობლები, თანამშრომლები, მეგობრები. სენაკის თეატრი შემოგთავაზებთ ისეთ „პროდუქციას“, რომელიც აუცილებლად დაგაინტერესებთ.

მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი გაზეთის რედაქციას თანადგომისა და ჩემი პიროვნების წარმოჩენისათვის. იმედი მაქვს რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ინტერვიუ მოამზადა
მედეა ბაღათურიამ

გარდასული დღეები გამახსენა

გაზეთ ,,კოლხეთის" მიმდინარე წლის 1-31 მარტის №5-6(გაერთიანებულ) ნომერში დაიბეჭდა ჩვენი საყვარელი და ნიჭიერი ჟურნალისტის, გაზეთის მთავარი რედაქტორის-ქალბატონ ნინო სართანიას ვრცელი ინტერვიუ, ყველა დროის გამორჩეულ და ღვაწლმოსილ პიროვნებასთან, საპატიო სენაკელ-ანზორ ცაგურიასთან. შთამბეჭდავი სათაურით-,,ჩემი ცხოვრება განუყოფელია სენაკთან", რომელიც საოცარი სითბოთი და სიყვარულით ეხმიანება რაიონის და ქალაქის განვლილი ცხოვრების ეპიზოდებს.

ინტერვიუ ეძღვნება რესპონდენტის დაბადების დღეს, რომელსაც დაგვიანებით მაგრამ გულწრფელად, ძმური სიყვარულით ვულოცავ და ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას.

წერილში შთამბეჭდავადაა ასახული ბატონ ანზორ ცაგურიას მიერ შრომასა და გარჯაში განვლილი ცხოვრების გზა, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე რაიონისა და ქალაქის აღმშენებლობისა და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის გაწეული აქტიური მოღვაწეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი, როგორც ახალგაზრდობის მაშინდელი ლიდერისა და წინამძღოლის, დამსახურება მომავალი თაობის წინაშე.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ბატონ ანზორ ცაგურიას, თავისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უფლებამოსილების ფარგლებში, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ყველა სასიკეთო და საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში, რაც ასე ნათლად ჩანს ინტერვიუში.

მკითხველი და მით უფრო ახალგაზრდობა უნდა იცნობდეს წარსული დღეების სახელოვან ისტორიას, რათა დავაფასოთ და ღირსეული პატივი მივაგოთ უფროს თაობას, მადლობა ვუთხრათ მათ ალალმართალი შრომისათვის, თავდადების და ერთგულებისათვის.

მეტად ამაღელვებელია ჩვენს საამაყო თანაქალაქელთან – საქართველოს ეროვნულ გმირთან – ჟიული შარტავასთან ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. რასაც დიდი მოკრძალებით და პატივისცემით იხსენებს ბატონი ანზორი და დარწმუნებულია, რომ თაობებს მუდამ ემახსოვრებათ ჟიული შარტავა, ადამიანი რომელმაც შეგნებულად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე, თავისი სიკვდილით თავად სიკვდილი დაამარცხა და უკვდავებაში დაიდო ბინა.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო უკრაინის დაძმობილებულ ქალაქ ბელაია ცერკოვასთან ურთიერთობის ეპოზოდები და კიდევ ერთხელ არ შეიგრძნო გაუსაძლისი ტკივილი და ამავე დროს არ ირწმუნო, რომ ომით, მტრობით დანგრეულს სიყვარული აღადგენს ისევ.

ამ ინტერვიუმ დაუვიწყარი გარდასული დღეები გამახსენა, უდიდესი სულიერი სიამოვნება მომანიჭა, რამეთუ წერილის პათოსი და შინაარსი, ემოციური მუხტი გარკვეულად ეხმიანება ჩემი და ჩემი თაობის ახალგაზრდობის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იმ ბობოქარ წლებს, რომელიც ხმიანობს, ცოცხლობს ადამიანის სულსა და გულში.

სწორედ ამ წლებში მიღებულმა ცოდნამ, გამოცდილებამ და მონდომებამ, სწავლის, შრომისა და გამარჯვების დაუოკებელმა წყურვილმა განაპირობა ჩემი და ჩემი თაობის ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის წარმატება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რასაც დღემდე ვაფასებთ და არ ვივიწყებთ.

ეს მოკრძალებული წერილიც, თქვენი საგაზეთო ინტერვიუთი შთაგონებული, უღრმესი პატივისცემისა და მადლიერების დასტურია.

იზარდი წოწონავა

ჩვენი სარედაქციო ფოსტა

რედაქცია ხშირად იღებს მკითხველთა გამოხმაურებებს, მადლობის ბარათებს, მილოცვებს, შენიშვნებს, წინადადებებს, მოგონებებს და ა.შ.

,,კოლხეთის" დაბადების დღესთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ რედაქციაში შემოსული აღნიშნული სახის პუბლიკაციები დაგვემუშავებინა და თქვენთვის მოგვეწოდებინა.

გაზეთი ამართლებს თავის ფუნქციას

ძალიან კარგად მახსოვს გაზეთი „კოლხეთი" როგორ ავტორიტეტული ორგანო იყო რაიონში. ყველა ოჯახს ჰქონდა გამოწერილი, წარმოება-დაწსებულებებს მითუმეტეს. მნიშვნელოვანი მოვლენა, წამოწყება თუ სიახლე გაზეთს არ გამოეპარებოდა. ცხოვრების ყველა სფეროს აშუქებდა. ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებსა თუ ფაქტებს აქედან ვიღებდით. რედაქციის ჟურნალისტები პროფესიონალები იყვნენ. მათი შეფასებები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაშინ „კოლხეთი" კოლეხთობდა, ის მართლაც ყოველი სენაკელი ოჯახის „საპატიო წევრი" იყო.

დღეს, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული მედიის ეპოქაში, სასიახრულოა „კოლხეთი" რომ ისევ არსებობს და აგრძელებს მოღვაწეობას. ეს ალბათ მუნიციპალიტეტის მესვეურების, გაზეთის კოლექტივის, მკითველელების დამსახურებაა და ასეც უნდა იყოს.

ამას წინათ გაზეთმა მამაჩემი, სენაკის ხალიჩების კომბინატის პირველი დირექტორი, მოსე ნაროუშვილი გაიხსენა, რისთვისაც რედაქციას მადლობას ვუხდი. წერილმა წარსულში დამაბრუნა და რაიონის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები მამისა და ჩემი თაობის ადამიანები გამახსენა. განვლილი ცხოვრების მომენტები აღმიდგა თვალწინ. ფიქრით ახალგაზრდობის ბედნიერ წლებში ვიმოგზაურე. ერთი სიტყვით განუმეორებელი სითბო და სიხარული მომიტანა წერილმა. ვფიქრობ ასეთი წუთების მკითხველისთვის მინიჭებით გაზეთი ამართლებს თავის ფუნქციას.

დღეგრძელობას ვუსურვებ ჩემს საყვარელ გაზეთ „კოლხეთს" და მის კოლექტივს, მთელ სენაკს.

ეთერ ნაროუშვილი, პენსიონერი

დღესაც ინტერესით ვკითხულობ

20 წელი ვიყავი სენაკის სანერგე მეურნეობის დირექტორი. ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე რაიონულ გაზეთ „კოლხეთთან" მჭიდრო კონტაქტი მქონდა. გაზეთში აქტიურად შუქდებოდა მეურნეობაში მიმდინარე პროცესები, წარმატებულ ადამიანებზე კეთდებოდა კორესპონდენციები, აქედან გამომდინარე რედაქციის თანამშრომლებთან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. გამოვყოფ: ბორის შენგელიას, რევაზ ჯანჯღავას, თამაზ კანკიას, გოგოლა მზარელუას, ლამარა გადელიას...

გაზეთის გამოსვლის დღეს, ჩვენთან სამსახურში დილა „კოლხეთის" გაცნობით იწყებოდა, არამარტო ჩემთან, თითქმის ყველა ორგანიზაციაში ასე იყო. ვეცნობოდით ვინ გახდა კრიტიკის ობიექტი, ვისთან რა პრობლემები აღმოჩნდა, ვინ გახდა სოც. შეჯიბრში გამარჯვებული, ვინ დაჯილდოვდა, ვინ წახალისდა, ვინაა მისაბაძი, ვინ რა დააშავა და ასე შემდეგ.

გაზეთის აქტიური ხელმომწერი ვარ, დღესაც ინტერესით ვკითხულობ მას, ეს ჩვევა სამსახურიდან მომყვება. ის კი არა ძველ ნომრებსაც ვინახავ.

„კოლხეთი" სენაკის წარსულში იღებს სათავეს, ამიტომ მიმაჩნია, რომ ის მუნიციპალიტეტის პრესტიჟია.

ნელი ხორავა,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სენაკის საპატიო მოქალაქე

შინაური და საყვარელი გაზეთი

ჩემი ბავშვობიდან მახსოვს როგორ ველოდებოდით ,,კოლხეთის" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. როგორი შინაური და საყვარელი იყო თითოეული სენაკელისათვის და არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც გამოწერილი არ ჰქონდა გაზეთი, რადგან მის ფურცლებზე ფიქსირდებოდა კოლხეთის ამ ძირძველი მხარის უახლესი ისტორიის ყოველი საყურადღებო ფაქტი თუ მოვლენა.

თქვენმა გაზეთმა მრავალი ადამიანი გამოიყვანა ცხოვრების ასპარეზზე, წარმოაჩინა მათი ნიჭი, შესაძლებლობები და გზა გაუკვალა მათ შემდგომი დიდი წარმატებებისაკენ.

ჟურნალისტის პროფესია რთული და პასუხსაგებია. წერო ადამიანებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაზე, ქმნიდე რაიონისა და ქვეყნის მატიანეს დიდი პასუხისმგებლობაა. თქვენი რედაქცია 99 წელია წარმატებით ართმევს თავს ამ მოვალეობას. ჩვენი ქვეყნისათვის ამ რთულ პერიოდშიც არ გაგმრუდებოდეთ კალამი, კვლავაც მიგეტანოთ მართალი სიტყვა ადამიანებამდე, გიმრავლოთ მკითხველი და ჟურნალისტური საქმის დამფასებელნი.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციას, ყველა სენაკელს გულწრფელად ვულოცავ ჩვენი სახელოვანი გაზეთის 99 წლის იუბილეს. გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს, დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

დოდო ცხაკაია

ჩემს ჭაღარა „კოლხეთს"

5 ათეული წელია სენაკში ვიღვწვი და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ვიცნობ. ვთვლი, რომ გაზეთი ,,კოლხეთი" ყველა დროსა და სივრცეში იყო სიახლის მაძიებელი, ინტელექტუალური და ყველა პროფესიის ადამიანისათვის მისაწვდომი.

როგორც ფარმაცევტს სჭირდება ადამიანებთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე და პროფესიონალიზმი, ისე სჭირდება ჟურნალისტს დახვეწილობა და სამართლიანი სიტყვის თქმა.

მსიამოვნებს რომ ,,კოლხეთის" აქტიური მკითხველი და რესპონდენტი ვარ.

რამდენი სიხარული მოგინიჭებია შენი მკითხველებისათვის, შენ ხომ ჩვენი სენაკელების ჟამთა აღმწერელი და მემატიანე ხარ.

თუმცა... ცვალებადობის კანონიდან და ცხოვრებისეული კატაკლიზმებიდან გამომდინარე ტკივილიც ხომ ბევრი აღგიწერია.

ვამაყობ, რომ სენაკელების მძიმე და საამაყო ტვირთს შენთან ერთად მეც ვეზიდები.

იცვლებიან თაობები, გაივლიან წლები, აღარ ვიქნებით ჩვენ, მაგრამ იქნები შენ, ჩვენო ,,კოლხეთო", რომლის ფურცლებზე დაწერილი ჩვენი ისტორია არასოდეს გაფერმკრთალდება.

ჩემს ჭაღარა ,,კოლხეთს" ვულოცავ ღირსშესანიშნავ იუბილეს, 99 წლისთავს.

მომავლის გზა დაგელოცოს სენაკელების სიამაყევ!

ლუარა გოგინავა

ჩვენო ,,კოლხეთო"

გაზეთი ,,კოლხეთი" ჩვენი რაიონის პირმშოა. სიჭარმაგეში შესულმა გაზეთმა თავისი ფურცლებიდან მრავალი კარგი მამულიშვილი გააცნო ხალხს. იგი აშუქებს ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების მთავარ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. გულგახსნილი და ხელებგაშლილი ხვდებოდა რაიონის ცხოვრების მემატიანე მასალის განთავსების მსურველთ. არაერთი სიახლისათვის დაულოცავს გზა, არაერთი მოვლენისათვის დაურქმევია თავისი სახელი, თუმცა არასოდეს დავიწყებია, რომ ყოველი წერილის უკან ადამიანი იდგა.

იცვლებიან თაობები, გაივლიან წლები, აღარ ვიქნებით ჩვენ, მაგრამ იქნები შენ, ჩვენო ,,კოლხეთო", რომლის ფურცლებზე დაწერილი ჩვენი ისტორია არასოდეს გაფერმკრთალდება.

მრავალი კარგი საქმის წამომწყები და ინიციატორი იუბილარია.

მინდა გულში ჩავიხუტო მრავალჭირგამოვლილი, მაგრამ გაუტეხელი, თავაწეულად წინმავალი გაზეთი, მის ყველა თაობის წარმომადგენელს მივესალმო, მოვეფერო და მივულოცო 99 წლის იუბილე, თითოეული მათგანი გავამხნევო, რადგან დიდ საქმეს შეჭიდებულთ მუდამ სჭირდებათ მხარდაჭერა. კვლავაც მრავალი ახალი და კეთილი საქმის წამომწყები ყოფილიყავით საკუთარი ერის, მიწისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ

ნუგზარ როგავა

ჩვენი ქალაქის კულტურის ისტორიიდან

ალექსანდრე (ლექსო) თორაძე დაიბადა 1952 წლის 30 მაისს, გარდაიცვალა 2022 წლის 10 მაისს ამერიკაში, ვაშინგტონში.

ასეთი სამწუხარო ინფორმაცია გაიზიარა მთელმა საქართველომ და მთელმა მსოფლიომ. თანამედროვეობის უდიდესი პიანისტი 1979 წელს ჩვენს ქალაქს ესტუმრა. იმ დროს ცხაკაიას მუსიკალური სკოლა განთავსებული იყო ძველ ორსართულიან შენობაში, სადაც საკონცერტო დარბაზი არ არსებობდა. ფუნქციონირებდა რამდენიმე საკლასო ოთახი. პედაგოგებს გაკვეთილების ჩატარება უწევდათ ბინებში. 1973 წლიდან ვხელმძღვანელობდი სკოლას. ძალიან მადარდებდა აუტანელი პირობები. რომელშიც გვიწევდა მუშაობა. კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით პედკოლექტივი და დირექცია.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია რესპუბლიკის სკოლებისათვის ატარებდა ლექცია-კონცერტებს. სამწუხაროდ ჩვენ ამის პირობები არ გაგვაჩნდა. ცნობისთვის – დიდი ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის დაბადებიდან 50 წლისთავი აღინიშნა ღია დერეფანში, სადაც 30-მდე მსმენელი ეტეოდა (1975 წელი), აუდიტორია ძირითადად ფეხზე იდგა

ფილარმონიიდან მივიღე შეტყობინება, რომ ჩვენს ქალაქში ჩამოდის პიანისტი ლექსო თორაძე. სკოლის ერთადერთი როიალი იდგა ფოიეს კუთხეში. ჩემს განცდებს უბრალოდ ვერ აღვწერ. ვესტუმრე რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ ვახტანგ ესვანჯიას. ბატონი ვახტანგი ხელოვნების დიდი ქომაგი გახლდათ. მიმიღო, ყურადღებით მომისმინა და გამოხატა თავისი აზრი, რომ დარბაზი აუცილებელი იყო, მაგრამ დარჩენილ დროში ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა.

დანაღვლიანებული ვბრუნდებოდი სკოლაში. დერეფანში შემხვდა რაიკომის მდივანი რეზო ფაჩულია, რომელსაც გავაცანი ჩემი გეგმა სკოლაში დარბაზის მოწყობის შესახებ... მოიწონა, სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდებოდა. ბატონმა რ. ფაჩულიამ გამოიძახა №2 ტრესტის ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორი ბატონი რუბენ გვალია. გაოგნებულმა მოისმინა დავალება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე სართულზე ამოსასვლელი კიბის ზევით მოეწყო სცენა და ახლად გაკეთებული დარბაზი 100 -მდე მსმენელს იტევდა. ერთ ღამეში, დიახ ერთ ღამეში შესრულდა ეს სამუშაო. კონცერტი შედგა კონცერტი 1 ღამეში გაკეთებულ დარბაზში. სკოლის ისტორიაში პირველად შესანიშნავ როიალზე დაუკრა მაესტრომ.

ეს დაუჯერებელი ამბავი კონცერტის შემდეგ მოვახსენე ლექსოს. გაოცება ვერ დამალა. იმ დროიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ვამაყობ, ვწუხვარ, რომ დაგვტოვა. ლექსო თორაძეს კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

P.S. ჩვენი გაზეთის მკითხველს მინდა კიდევ ერთი ინფორმაცია მივაწოდო. რაიკომის პირველმა მდივანმა, ბატონმა ვახტანგ ესვანჯიამ, შეიტყო ყოველივე და მითხრა, რა კარგი არქიტექტორი იქნებოდიო. გავთამამდი და გავბედე: მე კიდევ ერთი იდეა მაქვს, მაგრამ მას განხორციელება არ უწერია მეთქი. დაინტერესდა, სწორედ მაშინ მოვახსენე, რომ შეიძლებოდა მესამე სართულის დაშენება და ყველა არსებული პრობლემა მოიხსნებოდა. 1984 წლის ნოემბერში ჩავიბარე 3 სართულიანი შენობა 2 საკონცერტო დარბაზით და 37 საკლასო ოთახით. ალბათ ლექსო რომ არა ეს ფუფუნება ჩვენ არ გვექნებოდა. აქვე მინდა გავიხსენო ბ-ნ აკაკი განგიას თანადგომა ყოველი წამოწყების დროს. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა გვაქვს... მჯერა ამას არ დაივიწყებენ მადლიერი სენაკელები.

ლია ქოგალავა

მუსიკათმცოდნე, სენაკის საპატიო მოქალაქე

კოვალი ხუნწარიას!

თქვენს მიერ სახელოვნად გავლილი პროფესიული გზის შეფასებაა წლის წარმატებული ხელოვანის წოდების მინიჭება. გილოცავთ აღნიშნულ ტიტულს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მჯერა მუდამ ერთგული იქნებით იმ ფუნდამენტური ღირებულებებისა, რასაც სამშობლოს, მისი ხალხისა და ახალგაზრდობის სიყვარული ჰქვია. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

პატივისცემით

ლიანა გოგია

გიგი ოკუჯავას!

ძვირფასო გიგი, გილოცავთ ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – სკოლის წარმატებით დამთავრებას. დამთავრდა ბავშვობის უზრუნველი, მთელი ცხოვრების მანძილზე ტკბილად მოსაგონარი ხანა და შენს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება – ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, მეგობრებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებით, მეტი უფლებებითა და ამავდროულად, პასუხისმგებლობით საკუთარი მომავლისა და ქვეყნის წინაშე. გვჯერა, რომ წარმატებით ჩააბარებ ეროვნულ გამოცდებს. აიხდენ ამ ეტაპზე შენი ცხოვრების მთავარ მიზანს, გახდები სტუდენტი, კარგად ისწავლი და მიაღწევ წარმატებებს.

როგორ იამაყებდა შენით თამაზ ბაბუა, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა ამ დღეს. ამბობდა, ნეტავ მოვესწრებოდე გიგის სტუდენტობას...

ვაგლახ, რომ ვერ მოესწრო. იმიერიდან მოგილოცავს შენი ბაბუ სკოლის დამთავრებას და დაგილოცავს გზა-სავალს.

გიგი, ჩვენო მთავარო და გამორჩეულო სიხარულო, წინ დიდი გამოწვევები გელის, გვინდა რომ ძალიან ბედნიერი იყო... წარმატებულ იყოს შენი სამომავლო ცხოვრების ყოველი დღე.

სიყვარულით მშობლები

შორს მიმავალი გეგმები მაქვს

საქართველოს მიღმა არაერთი წარმატებული ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, რომლებიც იქ სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და მათ საამაყო მიღწევები აქვთ. ჩვენი მიზანია სამშობლოში იცოდნენ მათ შესახებ და ამიტომ გადავწყვიტეთ გაგაცნოთ სოფია ღურნკაია, რომელიც სპორტის საკმაოდ პოპულარულ სახეობაში-დაივინგში გახდა იტალიის ჩემპიონი.

სოფია აფხაზეთიდანაა, ის ცხოვრობდა სენაკში, დაამთავრა აგრარული კოლეჯი, ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი იურისტის კვალიფიკაციით, თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მუშაობდა ადვოკატად, არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

დღეს კი სოფია ერთი, „რიგითი" ემიგრანტია, იტალიაში ცხოვრობს და მუშაობს. მისი საქმიანობის სფეროს, როგორც ემიგრანტების უმრავლესობისა, იტალიურ ოჯახში მოხუცის მომვლელად მუშაობა წარმოადგენს.

სოფიას ინტერნეტით დავუკავშირდი და ვთხოვე ჩვენთვის და ,,კოლხეთის" მკითხველებისთვის მოეთხრო თავისი წარმატების და იტალიური ცხოვრების შესახებ.

8 წელია რაც იტალიაში ვარ, მინდა გითხრათ, რომ როგორც ყველა ემიგრანტისათვის, ჩემთვისაც ძალიან რთული იყო ემიგრაციის პირველი წლები უცხო მიწაზე. გარემოსთან შეგუება, ენა, საბუთები... ოჯახის წევრებიდან შორს ყოფნა... გინდა ზღვარი გადალახო და უბრალოდ გასცდე ერთფეროვნებას. რთულია საკუთარი ადგილის პოვნა შენი მიზნების, სურვილების, გატაცებების რეალიზებისთვის. მთავარია გულით მოინდომო და აუცილებლად მიაღწევ დასახულ მიზანს. შეუძლებელი არაფერია.

იტალიის ქალაქ კალიბრიაში, ერთ ოჯახში ვიმსახურე 5 წელი. როცა მსგავსი საქმიანობით ხარ დაკავებული შეუძლებელია სხვა რამისთვის დაგრჩეს დრო. ოჯახის წევრებთან კარგი

დამოკიდებულება მქონდა. ერთხელ ,,ბებიას" შვილიშვილმა მატია მალარამ დამპატიჟა ტორინოში. დამათვალიერებინა ქალაქი, შემდეგ კი წამიყვანა თავის სამსახურში. ეს იყო სპორტული აუზი, სადაც ვარჯიშობდა მატია თავის გუნდთან ერთად. თავად მატია იტალიის ჩემპიონია. მომიტანეს წყალქვეშა აღჭურვილობა და შემომთავაზეს ჩამეყვინთა წყალქვეშ. არ გამჭირვებია, რადგან სპორტთან ყოველთვის ,,კარგი დამოკიდებულება" მქონდა, იმდენად კარგი შედეგი ვაჩვენე, ყველას გაუკვირდა.

სხვა სამსახურში გადასვლისთანავე ჩავეწერე „აპნოას" აკადემიაში (Apnea Academy). ეს არის სპორტული ასოციაცია, რომელიც 1995 წელს დაარსდა უმბერტო პელიძარის მიერ, დაივინგი ანუ ფრიდაივინგ. ეს არის წყალქვეშა სპორტი, ანუ ერთი ჩასუნთქვით ეშვები წყლის ქვეშ და ხვდები სრულიად განსხვავებულ სამყაროში, სანამ ჟანგბადი არ გამოგელევა!

წყალქვეშა ვარჯიშები პრაქტიკულად დატვირთვით უტოლდება მორბენალის 15-20 კმ გარბენს. 3 წელია რაც ვვარჯიშობ, ეს არც ისე დიდი დროა წყალქვეშა სპორტის ამ სახეობაში სასურველი შედეგის მისაღწევად. თან ამ პერიოდში კოვიდიც გადავიტანე და როგორც იტყვიან სახლში ვიყავი გამოკეტილი.

(გაგრძელება მერვე გვერდზე)

შორს მიმავალი გეგმები მაქვს

(დასასრული)

მარტის თვეში გაიმართა აპნოას აკადემიის ნაციონალური ჩემპიონატი დინამიურ და სტატიკურ აპნოაში აკადემიის ყველა ფილიალში. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იღებდა ჩემპიონატში მონაწილეობას, მე საუკეთესო შედეგი ვაჩვენე და გავხდი გამარჯვებული. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ავიღე.

იტალიაში ყველაზე დიდი, 42 მეტრი სიღრმის აუზი არის ქალაქ პადოვაში, მე ჩავდივარ 40 მეტრის სიღრმეზე. ამჟამად აქტიურად ვვარჯიშობ, უკვე წელიწადია ფლორენციაში ვარ. დღისით ვმუშაობ, ჩემი ვარჯიში იწყება ღამის 9 საათის შემდეგ.

ყოველ ორ წელიწადში, იტალიაში ტარდება გამოცდები, რომლის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სპორტსმენს ენიჭება ინსტრუქტორის სტატუსი და შეუძლია ჰყავდეს თავის ჯგუფი და დამოუკიდებლად ავარჯიშოს.

მე უფრო შორს მიმავალი გეგმები მაქვს, მინდა რაც შეიძლება მეტ შეჯიბრში მივიღო მონაწილეობა და ჩემი შედეგები გავაუმჯობესო. დღეს მე და აპნოა მივიწევთ წინ წარმატებით.

,,კოლხეთის" სახელით ვულოცავ სოფიას გამარჯვებას. ეს ერთი და სხვა მრავალი! ვუსურვებთ წარმატებებს. კიდევ მრავალჯერ გავეხარებინეთ თავისი გამარჯვებებით.

მაია გერგაია

განცხადება!

ქ. სენაკში ფუნქციონირებს პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრის სენაკის განყოფილება, სადაც ხდება სხვადასვა საგანმანათლებლო პროფესიული სწავლება და ბიზნესის განვითარებაზე ხელის შეწყობა.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ სენაკის განყოფილებას. მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას 11ᵃ

ა(ა)იპ ,,პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრი". ს/კ 212840372; მენეჯერი -551 205 170

www.vetc.info

ქ. სენაკი რუსთაველის ქ. № 185

ა(ა)იპ ,,პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრის" სენაკის განყოფილება.

განყოფილების უფროსი – რევაზ ქუჩულორია

მობ.: 551 72 88 99. Revaz.kuchuloria@gmail.com

www.vetc.info.

ირა ადამია-შალამბერიძე

უფროსი თაობის მეხსიერებას შემორჩა საუკეთესო სპეციალისტი, ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება, ქართული ტრადიციული ოჯახის დიასახლისი, მზრუნველი დედა და ბებია ირა ადამია-შალამბერიძე.

დაიბადა 1934 წლის 10 თებერვალს ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკში. 1952 წელს დაამთავრა ცხაკაიას მეორე ქალთა საშუალო სკოლა. ხოლო 1957 წელს –თბილისისი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის კვალიფიკაციით.

1957 წელს მუშაობა დაიწყო ცხაკაიას მანქანა –ტრაქტორთა სადგურში აგრონომად, 1958-1961 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის ინსპექციაში ცხაკაიას რაიონის ენტომოლოგად, 1961 წელს-ნოსირის საშუალო სკოლის საწარმოო სწავლების სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო 1961-1991 წლებში – სენაკის სახალხო დეპუტატთა რაისბჭოს აღმასკომის უფროს ინსპექტორად, შემდეგ – სოციალური უზრუნველყოფის სენაკის რაიონული განყოფილების კადრების ინსპექტორად.

ყველგან სადაც იმუშავა, პროფესიონალიზმისა და საქმის ერთგულების საუკეთესო მაგალითი დატოვა. იყო ძლიერი პიროვნება. პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ როგორც პროფესიულ ისე საზოგადოებრივ დავალებას.

მეუღლესთან შოთა შალამბერიძესთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიდა შვილების მომავალს, საიმედო და დასაყრდენი ქალბატონი იყო.

წავიდა იმიერ საუფლოს ვალმოხდილი და ამაგდარი ქალბატონი, რომელიც ოჯახის, შვილების, შვილიშვილების და იმ ადამიანების ხსოვნაში, რომლებთანაც შინაურული და სამსახურებრივი კონტაქტი ჰქონდა მუდამ დარჩება. ოჯახი ყოველთვის იამაყებს მის მიერ დატოვებული კეთილი საქმეებით.

ნათელი მის სხივიან სულს!

ოჯახი

გურამ მამფორია



გარდაიცვალა, ენერგეტიკის სექტორის გამოჩენილი მუშაკი, დიდი გამოცდილების მქონე ინჟინერ-ელექტრიკოსი, შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეგანყოფილების სპეციალისტი ბატონი გურამ მამფორია. ის ათეული წლების განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა სამეგრელოს რეგიონის ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა წამყვან თანამდებობებზე, იყო „საქმთავარენერგოს" სამეგრელოს რეგიონის დირექტორის მოადგილე, ქვესადგურების ჯგუფის უფროსი, სენაკის მომსახურების ცენტრის მთავარი ინჟინერი და სხვ. თავის ცოდნასა და გამოცდილებას მუდმივად უზიარებდა სფეროში დასაქმებულ პერსონალს. დიდია მისი წვლილი ენერგეტიკოსთა ახალი თაობის მაღალი დონის სპეციალისტად ჩამოყალიბების საქმეში, რომლებიც დასაქმებული არიან ფილიალის სხვადასხვა მ/ც-სა თუ მაღალი ძაბვის ქვეგანყოფილებებში და ღირსეულად ახორციელებენ ელექტრომოწყობილობების უსაფრთხო ტექნიკურ ექსპლუატაციას. ის იყო განათლებული ყველა სფეროში. საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა და დიალოგი.

ბატონ გურამს შეეძლო კიდევ დიდხანს ეღვაწა და ყოფილიყო თავის კოლეგებს შორის, გაეკეთებინა ბევრი სასიკეთო საქმე, როგორც გამოცდილ სპეციალისტს, რომლისაგან ბევრის სწავლა შეიძლებოდა. იყო დაუზარელი, სიკეთით სავსე, უღალატო, ერთგული მეგობარი, მაგრამ ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია მისი სხვა სამყაროში გადასვლა, რომელმაც დიდი გულის ტკივილი გამოიწვია მის მეგობრებსა და კოლეგებში. უკვდავია მისი სახელი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი და ნათელი კვალი დატოვა.

ბატონ გურამს დარჩა შესანიშნავი ოჯახი და უკარგესი მონაგარი. მის საქმეს ღირსეულად აგრძელებს მისი ვაჟი, რომელიც რეგიონში ერთ-ერთ მეტად საინტერესო, სარელეო დაცვის ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობს. წარმატებები მას, რომელიც მისი ღირსეული შთამომავალია.

სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-ს
დასავლეთ საქართველოს
რეგიონალური ფილიალი

ელვარდი (ხუნტული) გეგენავა

შენეული წვლილი შეგქონდა ღირსეული სამშენებლო ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება ,,არქოპოლისის" წინსვლასა და შენებაში. ნამდვილი პროფესიონალი იყავი, გზის ოსტატი. არ ეთანხმებოდი ოჯახის წევრების დაჟინებულ თხოვნას მიგეტოვებინა სამსახური, შენ ჩვეული გულისხმიერებით აგრძელებდი საქმიანობას, გამორჩეულად სცემდი პატივს საწარმოს თავკაცს დემურ გადელიას და საწარმოს თითოეულ მუშაკს. საწარმო შენი მეორე ოჯახი იყო.

5 მაისი შენი დაბადების დღეა. მოულოდნელმა გარდაცვალებამ ამ ღირსსახსოვარი დღის აღნიშვნა ვერ შეგაძლებინა. ვერც კი მოვასწარით გაგვეცნობიერებინა შენი სიკვდილი. ნაადრევად დატოვე მეზობლები, მეგობრები შენი ნაფერებ-ნაღვაწი ოჯახი. იყავი საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა და მამამთილი.რძალს ნათიას შვილებისგან არ ანსხვავებდი. ისიც ძალიან გაფასებდა და დღეს აც ღირსეულად უძღვება ოჯახს.

განსაკუთრებით მტკივნეულია შენი არყოფნა მეუღლე შორენასათვის, რომელიც გზას გასცქერის და ასე ჰგონია სამუშაოზე ხარ და მალე დაბრუნდები.

ყველას უჭირს უშენობა შენს ზრუნვას მიჩვეულ შვილებს, დაძმებს, ნათესავებს. ყველგან სიკეთეს თესდი, სამაგიეროდ სიყვარულს იმკიდი.

ყველას ჭირის და ლხინის გამზიარებელი კაცი დააკლდი მეზობლებს. გვაპატიე, რომ საშინელი ეპიდემიის მძვინვარების ჟამს ვერ შევძელით ისეთი ყურადღება გამოგვეჩინა, შენ რომ იმსახურებდი.

ჩვენო ელვარდი იმიერში გილოცავთ დაბადების დღეს. გვჯერა იქიდანაც იცავ და მფარველობ შენს ახლობელ ადამიანებს.

ნეტარ იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა!

მზია დანელია

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს გია და ნატო შალამბერიძეებს დედის ქალბატონ

ირა ადამია-შალამბერიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია თანაუგრძნობს ბიჭიკო თუნთიას დის

ეთერ თუნთიას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათერია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499